სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

18.01.2017 № 5
თბილისი

დოქტორანტურაში მიღების
გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის №2273 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს მეორე სემესტრიდან სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ.ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში 2017 წლის 15 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით შაბათ კვირის გარდა;
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის კანცელარიას;
5. გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდეს 21 თებერვალს 10 საათზე, საპრეტენზიო განცხადებების მიღება იმავე დღეს სტუ-ის საგამოცდო ცენტრში, სტუ-ის I კორპუსი, კოსტავას ქ. 68. მათი განხილვა 21 თებერვალს 16 საათზე უცხოურ ენაში საპრეტენზიო განცხადებების განხილვის კომისიაზე, გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 22 თებერვალს;
6. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2017 წლის 23 თებერვალს 11 საათიდან;
7. გასაუბრების შედეგების საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2017 წლის 24 თებერვლის 16 საათამდე სტუ-ის კანცელარიაში, მათი განხილვა 27 თებერვალს 11 საათიდან პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისიაზე;
8. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 28 თებერვალს;
9. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2017 წლის 3 მარტამდე;
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
11. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:
ვიცე-რექტორი ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
სტუ-ის II კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 202. მ.კოსტავას 69;
საკონტაქტო ტელეფონი - 551 31 64 68;

2. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
სტუ-ის I კორპუსი, c ფლიგელი, მე-4 სართ., ფაკულტეტის დეკანატი. მ.კოსტავას 68;
საკონტაქტო ტელეფონი - 577 762843; 570701765

3. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
გურამიშვილის გამზ.№17, მე-2 სართული, ოთახი №209;
საკონტაქტო ტელეფონი 593 190 772;

4. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სტუ-ის VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 916 ა; მ.კოსტავას 77;
საკონტაქტო ტელეფონი - 577 375 439;

5. ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი
სტუ-ის VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 911ა; მ.კოსტავას 77;
საკონტაქტო ტელეფონი - 236 5213;

6. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
სტუ-ის VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 903 ბ; მ.კოსტავას 77;
საკონტაქტო ტელეფონი - 577 527 729;